

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების
შეთანხმება-დანართი N1

ქ. მცხეთა

06 დეკემბერი 2017 წელი

„გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-II საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად „მცხეთის მუნიციპალიტეტად“ გამომდინარე აღნიშნულიდან, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, (ს/კ 236099789) შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ ტენდერში **NAT170011163** გამარჯვებული შპს „დაკო“ (ს/კ 404954750) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა დალაქიშვილის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „დაკო“ -ს შორის 2017 წლის 01 ნოემბერს გაფორმებული N102 (სოფ. ბიწმენდში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია) ხელშეკრულებაში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის რეკვიზიტებში - ნაცვლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა, მხარეთ მიეთითოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ 236099789), მერი - გიორგი კაპანაძე.


ბ) ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: პუნქტი 7.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, მათ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია.

ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

დანართი N1 შედგენილია 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, საიდანაც ორი ეგზემპლარი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

მხარეთა ხელმოწერა:

„შემსყიდველი“
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 236099789
მერი
გიორგი კაპანაძე



„მიმწოდებელი“
შპს „დაკო“
(ს/კ 404954750)
დირექტორი
პაატა დალაქიშვილი

